

რედაქცია: სოლოლაკზე, სერ-გიევის ქუჩაზე, ივ. ამირალოვის სახლში, № 8.

კანტორა რედაქციისა: სერ-გიევის ქუჩაზე, ივ. ამირალოვის სახლში, № 8.

ხელის-მოწერა მიიღება კანტორაში. ზარეშე მცხოვრებთათვის: ВЪ ТИШ. МЕСТ. ВЪ РЕДАКЦІЮ ГАЗ. „ДРОБНА“.

გაზეთის ფასი: მთელის წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—4 მან. და 50 კაპ., ოთხის თვის—3 მან.

ყოველ დღე ორშაბათს გარდა

განცხადება: მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და სხვა ენებში.

ფასი განცხადებისა: დიდი ასოებით ასოზე—1 კაპ., ასო-მთავრულით სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ციკროთი—5 კაპ., პატარა—4 კაპ.

რედაქციას უფლება აქვს გაახსოვროს და შეამოკლოს დასაბეჭდად გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

დროება

ცალკე ნომერი ღირს შაურათი

ყოველ-დღიური გაზეთი

„დროება“

ხელის-მოწერა: მთელისწი, რედაქციის კანტორაში (სერგიევის ქუჩაზე, ივ. ამირალოვის სახლში, № 8).

ძალაქს გარეშე მცხოვრებთათვის აღრესი: ВЪ ТИФЛИСѢ. ВЪ РЕДАКЦІЮ ГАЗЕТЫ „ДРОБНА“.

გაზეთის ფასი: მთელის წლისა—8 მან., ნახევარის წლის—4 მან. და 50 კაპ., ოთხი თვის—3 მან.

პირველი მაისიდან პირველ ივლისამდე გაზეთი ღირს—2 მან., წლის დამლევამდე—6 მანეთი.

ხვედრი ფული გაზეთის დაბარებისათვის უნდა იქმნეს რედაქციაში გამოგზავნილი.

ტელეგრაფები

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

ბერლინი, 19 მაის. ბერმინის ოფიციალურს გაზეთში დაბეჭდილია, რომ შტოლბერგი დაინიშნება იმპერიის სამინისტროს მინისტრად და ვიცე-პრეზიდენტად.

ვენა, 20 მაის. „Polit. Corresp.“-ში ბუხარესტიდან იწერებია: რუმინის მინისტრი ბრატიანო სტამბოლში წავიდა; ზოგნი ამბობენ, ბრატიანო ინგლისის კონსულის უიტიის რჩევით წავიდა და მიზანი ის არის, რომ მსამალეთის მთავრობასთან იშუამდგომლოს, რომ მსამალეთმა სრული დამოუკიდებლობა მიანიჭოს რუმინიასო; სხვები კი ამტკიცებენ, რომ ბრატიანო იმისთვის არის გაგზავნილი, რომ რუმინია და მსამალეთი მეგობრული კავშირით დაახლოვოს ერთმანეთთანაო.

სტამბოლი, 20 მაის. ბუშინ დანდუკოვ-პორსაკოვი ფილიპოპოლში წავიდა. რუმელიის აჯანყებული მაჰმადიანები ფილიპოპოლსა და სოფიას შუაგროვდებიან. ამ აჯანყების დასამშვიდებლად რუსები ხელ-ახლად აპირებენ ბოლგარიის ლეგიონების (მილიციონერების) გამოწვევას.

სან-სტეფანო, 20 მაის. როდოსტოში მოვიდნენ რუსის ახალი ჯარები.

ბერლინი, 21 მაის. ღღეს, ნაშუადღევ

ვის მესამე საათის ნახევარზე, როდესაც იმპერატორი მილჰელმი დასერნობდა შნტერ-ლინდენის ქუჩაზე, ერთის სახლიდან ესროლეს თოფი. იმპერატორი დაჭრილია სხეული და წვრილი საფანტით ხელში და ლოყაში. იმჟამსვე იმპერატორი წაიყვანეს სახლში; ექიმები თავს ახვევიან.

ბერლინი, 21 მაის. იმპერატორი მილჰელმი დააწინეს ლოგინში; იმას სწამლობს ლეიბ-მედიკი ლაუერი. ბევრი საფანტი გამოუღეს; ძლოერი სისხლის დენა აქვს.

როცა შევიდნენ იმ სახლში, საიდან თოფი გავარდა, თოფის მსროლელმა ჯერ სახლის პატრონი დაჭრა და მერე თავის-მოკლა მოინდომა; ის დაჭირეს და საავთანყოფიში გაგზავნეს.

იმპერატორი რომ დასტრეს, იმის მხლებელნი ლეიბ-იეგერი ჩაუჯდა იმას კარეტაში და მიიყვანა სასახლეში.

ძალაქში საშინელი მღელვარებაა. აუარებელი ხალხი მოდის ქალაქის მოშორებულ უბნებში და შნტერ-ლინდენის ქუჩაზე გროვდებიან.

სალამოს 7 საათზე დანიშნულია მინისტრების კრება.

პირველი ოფიციალური ამბავი იმპერატორის მდგომარეობაზედ ნაშუადღევის 4½ საათზე გამოვიდა; ამ ბიულეტენში სწერია: იმპერატორს ორჯერ ესროლეს საფანტით გატენილი თოფი. მცდა-ათი საფანტი აქვს მოხვედრილი თავში, სახეზე, ხელებზე და ზურგში. არც ერთი დაჭრილობა არ არის ისეთი მძიმე, რომ იმპერატორს სასიკვდილოთ რამე უშეადგეს. მას იმპერატორებით უდიდესობას ძალიან აწუხებს ტკივილი; მაგრამ გონება კი ჯერ ერთ წამსაც არ დაუკარგავს.

საქართველო

ჭუთაისის ბანკის კრებები

მესამე სხდომა 16 მაისს (დასასრული)

ამის შემდეგ უ. ლ. ლოლუამ განაცხადა, რომ მას აღარ ჰსურს ზედამხედველ პომიტეტის წევრობა.

მადლობელი ვარ საზოგადოებისა, რომ ამ საქმეში ამომარჩია და დიდი რწმუნება გამოიჩინა ჩემსკო. მაგრამ შემდეგ მოკი აღარ შემიძლია დაერჩეო. ხარჯი ზევრი აქვს ბანკსაო, არაფერი რჩებაო; ზოგიერთ მუხლებს წესდებისას შეცვლანდაო, თორემ ისე არ ივარგებს საქმეო. აქამდისაც რამდენიმე შემთხვევაში წინააღმდეგ წესდებისა ვიკცოდითო (გირავოს ფურცლები ახსენა), მაგრამ ეს მიუცილებელი საჭიროებით იყო გამოწვეულიო. მე იმას არ ვამბობ, რომ ეს მართო ბანკის სამმართველოს საქმე იყოსო: ჩვენ დაუკითხავათ და ჩვენ უთანხმოთ მას არაფერი უმოქმედნიაო, მაგრამ რაც აქამდის იქნა, რომ რამე მოხდეს, იმის შესახებაც მე ყოფა პასუხის-გება, და მეტს ველარ ვიღებ ჩემს თავზეო. მე დარწმუნებული ვარ და თქვენც გარწმუნებთ, რომ ჯერ არაფერი ყოფილა საშიშო; მაგრამ თუ თქვენ ჩვენს მოწოდებას ყურადღებას არ მიაქცევთ, არ შეიკრიბებით დროზე, არ მიაქცევთ ყურადღებას ჩვენს გაჭირებას არ შეცვლით წესდების ზოგიერთ მუხლებს, ისე სამსახური არ შემიძლიათქვენო. თუ ამანიო მდგომარეობაში დარჩა საქმე, უნდა ვსთქვა, რომ ცუდი ამბავი მოხდება. თუ მოახდენთ, რაც ცვლილება საჭიროა, მაშინ, თუ ამომირჩევთ, კიდევ ვიშრომებ ამ საქმისათვის; მანამდის კი ვერ ჩავდები, თქვენს შორის, და ერთად ვეცადოთ მოვახდინოთ რაც რიგია.

სიტყვა სთხოვეს თავმჯდომარეს უ. პირღლე ლორთქიფანიძემ და დავით ლორთქიფანიძემ.

უ. პირღლე ლორთქიფანიძემ უ. ლოლუას თხოვნა გასამართლებელი არ არისო. მე ამოიჩინა საზოგადოებამ ზედამხედველს პომიტეტში, იქონია მაგაზე რწმუნება, რომ ხსენებულ საქმეში იღვაწოს; მაგანაც თანხმობა განაცხადა, და მაგის ვალით მანამდის რიგით გამოსვლა არ შეხედება, დარჩეს კომიტეტში; საზოგადოებამაც ამისთვის ამოიჩინა, რომ საჭირო დროს იშრომოს და საქმე გააკეთოს, თორემ განსაკუთრებული და საჭირო რომ არა იყოს, მაშინ აღარც კი იქნებოდა საჭირო მაგის სამსახური.

უ. ლოლუამ უპასუხა, რომ მეთუ არც დროს ვშურობ და არც შრომას, მაგრამ საქმის მდგომარეობა მაძიებებს ასე მოვიქცეო.



უ. ლავით ლორთქიფანიძე.
 უ. ლოლუას მოქმედება გასაკვირველია: ხან გვარწმუნებს თავის სიტყვით, რომ საშიშრო არაფერი არის, ხან იძახის, თუ ამ ნაირს მდგომარეობაში დარჩა საქმე, დავიღუპებითო! წესი დავარღვიეთო, უკანონოთ ვიქცეოდითო, მაგრამ არაფერი წაგვიხდენიაო! რატომ გარკვევით არ იტყვის რა იქნა დაღუპული, ან რა იქნება? რატომ არ გვიჩვენებს, რა არის, ან ვინ არის მიზეზი? მე რომ სოფელში ვცხოვრობდე, როგორც დიდი უმეტესობა ბანკის დამფუძნებელთა და არ ვიცოდე დაახლოებით ჩვენი ბანკის საქმეების მსგელოება, მაშინ ვიფიქრებდი სწორეთ შავის სიტყვების შემდეგ, რომ დავღუპულვართ, ბანკი იღუპება-თქო. ბევრი ხარჯიაო, არაფერი ჰჩებიაო. მე სრულიათ თანხმა არ ვარ, კარგი იქნება ხარჯის შემოკლება, კარგი იქნება ბანკს ბევრი წმიდა შემოსავალი დარჩეს. მაგრამ მიზნათ ბანკისათვის მარტო ის არ უნდა დავდეთ, რომ მას ბევრი შემოსავალი ექნეს. ბანკი კარგი საქმე არ არის, რომ ჩვენი აზრებები და საზოგადოთ სხვანიც ბანკის არსებობაში საშუალებას ჰპოვებენ ხელი მოიმართონ? ბანკი კარგი საქმე არ არის, რომ კაცს ფულების შოვნის სახარო აქვს და 25-30% მაგიერ 7-10% იხდის?

უ. ლოლუა ამასე უპასუხა, რომ ბანკის საზოგადოებაზე ლაპარაკის ჩამოგდება აქ უადგილო არის, და სხვას რაც შეეხება, ვიტყვი, რომ სწორეთ წესდების წინააღმდეგ მოვიქცებითო, როცა გირავოს ფურცლების მაგიერ ნაღდი ფული გავეცით, როცა გვიწერია რომ გირავოს ფურცლები გაცემულია და ვისაც უნდა ჰქონდეს, იმას კი არ უჭირავს ხელშიო.

უ. ლუჯა ასათიანი მა, თავ-მჯდომარე, და **უ. ბაქრაძე**მაც გამოუცხადეს. **პომიტეტის** დანამდგომარეობის სურვილი. **უ. ასათიანი** ამბობდა, რომ სამსახური არ მაძლევს ნებასაო (მუთისის ოლქის სასამართლოს წევრია). ამ მიზეზზე უჩვენა **უ. ბაქრაძე**მაც (მომრიგებელი მოსამართლე).

ამით გათავდა დილის სხდომა.

სალამოს ზედამხედველი **პომიტეტის** წევრების დაჯილდოებაზე იყო ლაპარაკი და **პომიტეტის** დანამდგომარეობის წილის-ყრით გამოსვლაზე.

როგორც კი შეიკრება საზოგადოება პირველათ მიჰმართავს **უ. ასათიანს**, რომელსაც წარსული სამსახურისათვის მადლობა შეჰსწირეს, როგორც მის ამხანაგებსაც, და ჰსთხოვეს, რომ არ გამოვიდეს ზედამხედველი **პომიტეტის** აგან. დიდათ მთხოვნელი ვართ, დარჩეთ ისევო; თქვენ ამხანაგებსაც, **უ. ლოლუას** და **ბაქრაძეს**ც ვთხოვთ ამასაო.

უ. ასათიანიმა თანხმობა გამოაცხადა და დარჩა. **უ. ლოლუა**მ და **ბაქრაძე**მ კი არ ისურვეს დარჩენა.

ამის შემდეგ ჰნახეს, რომ საჭირო აღარ იყო დანარჩენის ორი წევრისაგან

(სულ ექვსი კაცი **პომიტეტის**) კიდევ გამოსულ იყო ორი წილის ყრით. **ბაქრაძე**მაც, რომ ახლები ამოირჩიონ კენჭით, გამოსულების მაგიერ.

დროებით თავმჯდომარეობა მისცეს **თ. ბ. ასათიანს**, რადგან, **პომიტეტის** წევრებზე და მათ დაჯილდოებაზე რომ მსჯელობა შეიქნა, **უ. ასათიანი**მა აღარ ისურვა თავ-მჯდომარეთ ყოფილიყო.

კენჭზე რომ მიაწია საქმემ, ზოგიერთებმა კიდევ სთხოვეს **უ. ლოლუას** დარჩენილიყო. **უ. ლოლუა**მ ამათ უთხრა: თუ მალე შეიკრებით და, რაც საქაროა, ცელილებას მოვხდენთ, ვისურვებო. მაგრამ სხვებმა უთხრეს, რომ ჩვენ წელან გთხოვთ დარჩენა, ის თხოვნა საქმეა იყო და თუ არ გნებავს, აღარ გვხვეწებითო. მაინც-და-მაინც პირობა როგორ უნდა შეგიკრათ, რომ შევიკრიბებით? იყ არ იქნებაო!

გამოსულების მაგიერ ზედამხედველ **პომიტეტის** წევრებად ამოირჩიეს **უ. ლავით** და **უ. მელიქის** დედა.

პომიტეტის წევრებს ჯილდოთ გადაუწყვეტა თითოეულს ხუთ-ხუთი მანეთი სხდომისათვის.

უ. ლ. ასათიანი. მე მინდა მოვახსენოთ ორიოდ სიტყვა ჩემის და ჩემი სამის ამხანაგების მხრით (**უ. ლორთქიფანიძის**, **ივანე ჯაიანის** და **პეტრე ნაკაშიძის** მხრით). ჩვენი შრომა ბანკის სამსახურში მცირეა და ვერ გავებდავთ ფიქრს, რომ ის დაჯილდოების ღირსი იყოს. ჩვენ დიდათ მადლობელი ვართ თქვენი პატივისცემისათვის, და გამოვვიცხადებთ, რომ არავართ ჯილდოს მიღების მსურველი (კრებაში ტამის კერა). **უ. ბაქრაძე** და **ლოლუა** ამ დროს წასულნი იყვნენ კრებიდან.

შემდეგ **უ. ასათიანი** ხელ-ახლად დაჰსჯდა თავმჯდომარას სკამზე, რომ დაეხურა სხდომა. იმან მაჰმართა საზოგადოებას შემდეგის სიტყვებით: „ყველა კითხვები, რომელნიც დანიშნულნი იყვნენ ამ კრებისთვის, განვიხილეთ, ზოგი მომავალი კრებისათვის გადავდევით. მეტი არაფერია გასარჩევნი ახლა. ამის გამო ახლა შეგიძლიათ წაბრძანდეთ თქვენთვის, მაგრამ ერთის მთხოვნელი ვართ: ნურც ერთს ზღაპარს ბანკზე და მის მოქმედებაზე საუბრეობანათ ნუ ჩასვლით და ნუ მიიღებთ, სანამ ჩვენ პასუხი არ მოგვთხოვთ. როცა ჩვენ პასუხსაც მოისმენთ, მაშინ შეგეძლებათ შეადგინოთ ჯეროვანი ჰაზრი... მშვიდობით!!!“

ამ ნაირათ გათავდა ეს უკანასკნელი სხდომა და ეს კრებაც.

ა. ჰ.

მუთისი, 17 მაის.

დღიური

* * * ამ სამი დღის წინათ შუა ბაზრის თავში ერთი ისეთი შემთხვევა მოხდა რომელმანც ძალა-უნებურად მიიქცია გამვლელ-გამომღელის ყურადღება: ერ-

თი ვიღაც დედაკაცი, კარგად ჩაცმული მიდგომდა **ლოკოტის** მუხრანზე და დასწავლა რაც ლონე ჰქონდა ცხვირ-პირში თავზე და ზურგზე სცემდა... საწყალი კაცი გაშტერებული იდგა და ხმას ვერ იღებდა; ხმის ამოღებას ვინ დასდევს, გაქცევაც ვერ მოეხერხებინა. ბანხლებული დედაკაცი მივარდა იქ ბაყლის დუქანს, აიღო ერთი კონა ბოლო-კი და ახლა ამით დაუწყა თავ-პირში ცემა. ხალხის კიჟინი და ყვირილი... ბოლოს, როგორც იყო, შეგროვილ ხალხმა დაიხსნა საბრალო ექიმი გაწიწ მატებული დედა-კაცის ხელიდამ და სადაც გააქციეს...

ჩვენ ვერ შევიტყუეთ—ვინ იყვნენ ეს დედა-კაცი და ექიმი და ან რა მიზეზით ჰქონდათ ამათ შუა-ბაზარში ამისთანა ტყბილი საუბარიო...

* * * **თფილისის** მოამბეში, რომ თუმცა ამ ქაამალ ნადირზე და მფრინგლებზე ნადირობა აღკრძალულია, მაგრამ ამ კანონის კაცი ყურადღებას არ აქცევს, თვით პოლიციის ჩინოვნიკებიც კი დაღიარებინან სანადიროთაო.

* * * **თფილისის** ბანკადებანი“ გვაცნობებენ, რომ ჩარჩები, სხვათა შორის, ნახშირსაც კი ჰყიდულობენ და აგროვებენ თურმე ერთ ალაგას, და ამის გამო ამ უკანასკნელ დროს ნახშირისე გამძვირდაო, რომ თითქმის წონით ისყიდებო, გირვანქაში 7 კაპიკი მოღისო.

„დროების“ კორექტირება

მ. ახალქალაქი, 13 მაის. 5 მაისს ახალქალაქის უფზში ერთმა სოფ. მოღვეას მცხოვრებმა ბერძენმა დიმიტრი ბოზოვემა, სოფ. ძაჭოვს, ანტონ მანანოვის დუქანის წინ, სოფ. ბარაღეთს მცხოვრები მასილი აბოვეი ხანჯლით მოკლა დღისით. ავაზაკი მოღვეაში გაიქცა; აქაც დღისით სამი სახლი გასტეხა, ქალებს ფულები გამოართო, ერთი ცხენიც მოიტაცა და გაიქცა ბორჯომისაკენ.

ძაჭოვს სომხებსა და მოღვეის ბერძენებს ისე ფეხები შეეკრათ, რომ ავაზაკი ვერ დაიჭირეს, თუმცა დღე იყო.

მეორე შემთხვევა მოხდა ამ მაისის 11-სა-სოფელს დილისკარს, ახალქალაქის უფზში: 5 ავაზაკი დაეცნენ ერთ მდიდარ სომხს, სახლი გაუტყენეს, ექვს ადგილს დასჭრეს, ჯიბიდან 59 მანეთი ამოაცალეს, მერე წაიყვანეს სხვა ოთახში, სადაც სახლობდა იყო, აქედან ბევ-



ჩი ფულების წალემა უნდოდათ, მაგრამ დაჭრილმა სამეცმა ავაზაკებს ხელში სანთელი გაუქრო, უცებ გაექცა ხელი-ღვან, მეზობლებს შეატყობინა, ავაზაკებმა ველარა მოასწრეს-რა, ლა გაიქცენენ. როგორც ეტყობა, ცხენოსანს ავაზაკები არ ყოფილან, ესენი ახალქალიაქის „პაქარნი ბიჭები“ უნდა ყოფილიყვნენ...

ა. ბგრიძე

მ.შ.ში, 13 მაისს. აუხანეთში აუხანებ-ბი ბევრი-ბევრი ხუთი ათასამდინ თუ იქნება დარჩენი. მსენი ძალიან დიდს. შევიწროებამი და შეწუხებამი არიან მათთვის არ დარჩენილა სახლ-კარი, სა-ჭმელ-სასმელი, სულ ერთიანათ გაფუჭებული დაა. ოხრებულ იყო ოსმალოს ჯარებისაგან. რაც შენობა დასაზღო იყო: სი-მიდი, ღომი, ფეტვი სულ ერთიანათ ცე-ცხლსა მისცეს; რაც პირუტყვი ყვანდათ, აგრეთვე სახლის ავეჯულობა, ტანისსა-მოსი სულ წაიდეს.

ამ ნაირს გარემოებაში დარჩენილი აუხანებები იყვნენ და ჯერაც არიან შიმ-შილითა და სიცივითა ტანჯვამი.

ბარდა ამისა ხმა დადიოდა, რომ ვი-თომ შთაერობა უპირებს იმათ ერთ რო-მელიმე სიმბირის ლუბერნიებისკენ გარ-დასახლებასაო. მაგრამ როცა მოვიდა სახუმის მაზრის უფროსი უფალი პრა-კინი, იმან, მისცა ნუგეში და დაიმედა ხალხი, რომ „დარჩებითო თქვენს სა-შობლო ქვეყანაშიო.“

ამ ნუგეშის გაგების შემდეგ აუხანებ-მა ხელ-ახლად დაიწყეს სახლ-კარის შე-ნება, მიწის მუშაობა და იმედია რომ, რომ, თუ რაიმემ კიდევ არ წააბრკოლა, მალე დასახლებიან ისევე კარგათა.

ბ. ზ.

ომის აზებები

ომის უამდვ

უცხო ქვეყნის გაზეთებში იწერებინ, რომ გრაფ შუვალოვის საშუალობით ინგლისი და რუსეთი დათანხმდნენო, რომ კონგრესი შეიკრიბოს და იმან გადაწყვიტოს ის საგნები, რომლის თაო-ბაზედაც ამ ორ სახელმწიფოს შუა ატყ-და უკმაყოფილება.

რუსეთი ამ თავითვე დათანხმდაო, რომ მომავალი ბოლოგარის საშუალებები სანახევროდ შემოკლებული იქნეს და ამას გარდა მთელი სან-სტეფანოს მო-რიგება ვადახედოს კონგრესმა. კონგრეს-მა უნდა გადაწყვიტოს—თუ რამდენი უნდა აიღოს რუსეთმა ოსმალეთისაგან ომის ხარჯი, რა და რა მიწები უნდა შეიძინოს ამ ომის ხარჯში და სხვა.

ბათუმი კი რუსებს დარჩებათ მხო-

ლოთ იმ დრომდინ, სანამ ოსმალეთი მთელ კონტრიბუციას არ გადაიხდისო.

„Indép. Belge“-ის ბერლინელი კორ-რესპონდენტი გვაცნობებს, რომ კონ-გრესი 11 ივნისს შეიკრიბება ბერლინ-ში და არა ბადენ-ბადენში, როგორც ადრე იწერებოდნენ. ო. ბისმარკი კონ-გრესის თავმჯდომარედ იქნებაო; ინგ-ლისი თავის მხრით მარკოზ სალსბიურის ანუ ლორდ ლეიონს გაგზავნის კონ-გრესსედაო.

მაზ. „Times“-ში იწერებინ სტამბო-ლიდამ, რომ ოსმალეთი თანახმა არი-სო, რომ შარსი დაუთმოს რუსეთსაო; მაგრამ ყოველ ღონის-ძიებას იხმარსო, რომ ბათუმი კი ისევე იმის ხელში დარ-ჩესო; და ამის შესრულების იმედი მით უფრო აქვს იმას, რომ ამ შემთხვევაში ინგლისიც დაეხმარებაო.

„პოლიტიკურს პორრესპონდენციაში“ დაბეჭდილია შემდეგი კორრესპონდენ-ცია 9 მაისს ტრაპიზონიდან მიღებული:

„ამ ქამად დიდი მოძრაობაა აქაურს სამხედრო უწყებაში: სირიიდან, მესო-პოტამიიდან და ტრაპიზონის ვილაიეტი-დან მოგროვილი ჯარები მოდიან აქ, ტრაპიზონში, და მუხთარ-ფაშისაგან გა-მოგზავნილი ორი ღენერალი წერთის იმათ, ურიაგებს ტანთ-საცმელს, თოფ-იარაღსა და სხვ. ამას გარდა თითქმის მუდამ დღე მოდიან აქ ინგლისის ხო-მალდები, რომელთაც ყოველგვარი სამ-ხედრო მასალა და სურსათი მოაქვთ ოსმალოს ჯარისათვის. მართის სიტყვით, ხანს, რომ ოსმალები აქეთკენ თითქო კიდევ რუსებთან საბრძოლველად ემზა-დებიან.“

ზემოხსენებულისავე გაზეთის ბათუ-მელი კორრესპონდენტი ამბობს, რომ ღერვიშ-ფაშამ რამდენჯერმე მიიწერა სტამბოლში და იკითხა, თუ როგორ უნდა მოიქცეს ის, რადგან მუდამ დღე რუსები ბათუმის დათმობას თხოულობ-ნენო. არც ერთჯერ ღერვიშ-ფაშას გა-დაწყვეტილი პასუხი არ მიუღია თავის მთაერობისაგან და ამიტომ ის ვერ უთ-მობს ბათუმსაო.

ბანსხალეზანი

თფილისის გუბარნიის თავად-აზნაურთა

საადგილ-გაგულო ბანკისაგან

თფილისის თავად-აზნაურთა საად-გილ-გაგულო ბანკის გამგეობა, უ-მალღესად დამტკიცებულის წესდების მე-16 მუხლის საფუძველით, აცხადებს, რომ ამ 1878 წლის 22 ივნისს შუადლიდამ თფილისში, ბანკის სადგომში, (სოლო-ლაკის ქუჩაზე, ნ. შორღანოვის სახლებ-ში) მოხდება საქვეყნოთ ვაჭრობა მხო-

ლოთ ერთხელ იმ ქვეყნის მარკეტინგის პირთა უძრავი მამულების გაყიდვის კონ-რომელთაც, ბანკის წესდების §§ 29, 30, 34 და 36 მუხლების თანხმად, არ შემოიტანეს აღნიშნულ ვადაზე ბანკიდ-გან აღებული ფულის სარგებელი:

სულ ხანოვევის, ბაბრიელისა და მიხეილის იესესს ძეთ მამული: ოთხი დუქანი მიშენებული ოთახებით და ყო-ველ კუთვნილებით, ეზოთი და მიწით, სულ 36 ოთხ-კუთხი საყენი. მ. თფი-ლისში, მეორე განყოფილების მე-14 უჩასტკაში.

მამულის ვალიარის—5,281 მ. შემოსა-ტანი აქვს კიდევ—342 მან. 18 კა. სულ —5,623 მან. და 18 კაპ.

ბურდულოვის, ალექსანდრე სო-ლომანის ძის, ორი დუქანი, თავის ბა-კით, შენობით და ყველა კუთვნილებით, ეზოთი და მიწით, სულ 600 ოთხ-კუთ-ხი საყენი. მ. თფილისში, მეორე გან-ყოფილების მე-11 უჩასტკაში.

ვალი 2,880 მან. და 55 კაპ., შემოსა-სატანი აქვს კიდევ—183 მან. და 68 კაპ. სულ—3,064 მან. და 23 კაპ.

სულ ხანოვისა, მარიამ ივანეს ასული: ა) ერთ-ეტაჟიანი ქვითკირის დუქანი და ბ) ორი სამ-ეტაჟიანი ქვით-კირის დუქანი, ორი ორ-ეტაჟიანი და თერთმეტი თითო ეტაჟიანი ქვითკირის დუქნები. მ. თფილისში, ა) პირველ განყოფილების მე-7 უჩასტკაში და ბ) მეორე განყოფილების მე-14 უჩასტკაში. პაპიტალური ვალი მამულისა ირის—17,283 მან. და 27 კაპ., შემოსატანი მართებს—973 მან. და 25 კაპ. სულ 18, 256 მან. 52 კაპ.

ჭიჭინაძის, იგნატი ნიკოლოზის ძის: ხუთი ერთ-ეტაჟიანი სახლები, მი-წით, სულ 115 ოთხ-კუთხი საყენი. მ. თფილისში, პირველის განყოფილების 1 უჩასტკაში, მთაწმინდაზე.

ვალი აქვს—677 მან. 48 კაპ., შესა-ტანი 67 მან. 42 კაპ. სულ 739 მან. 55 კაპ.

ვაელი ივანის, იაკობ სვიმონის ძის: ორ-ეტაჟიანი ქვითკირის სახლი სარდა-ფით და ორ-ეტაჟიანი კიდევ სხვა სახ-ლი სარდაფითვე, ადგილი 72 ოთხ-კუთ-ხი საყენია. მ. ის თფილისში, პირველ განყოფილების მე-5 უჩასტკაში, ნემე-ცების ქუჩაზე.

ვალი აქვს—5,811 მან. და 74 კაპ., შესატანი კიდევ—338 მან. და 10 კაპ., სულ—6,149 მან. და 84 კაპ.

ტერ-ზახაროვისა, მათა პონიას ასული: ერთ-ეტაჟიანი ქვითკ. სახლი და ადგილი 18 ოთხ-კუთხი საყენი. თფი-ლისში მეორე განყოფ. მე-13 უჩასტკაში, შიმშიაძის ქუჩაზე.

ვალი აქვს—195 მან. 37 კაპ. შესა-ტანი 35 მან. 18 კაპ., სულ—230 მან. 55 კაპ.

ბაბოვის, სარკის მარტიროზის ძის: ერთ-ეტაჟ. ქვითკირის სახლი და ადგილი 30 ოთხ-კუთხი საყ. თფილისში, მეორე განყოფ. მე-13 უჩასტკაში.

ვალი—293 მან. და 5 კაპ., შესატა-

